დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიმიტრი ქარსელაძე

წევრები:

ხათუნა კობიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

რომანი გაბუნია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარეხი ჩიკვაიძე - საგნობრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ჩიმაკაძე - ესთეთიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თინათინ გიორგაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**244556583**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე
იურიდიული მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე
ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე
საფოსტო ინდექსი	5800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.shavgele.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	shavgele@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591713656

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება N 2 23 0000939236, 28/07/2023. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის

	2023 წლის 28 ივლისის N 2 23 0000939236 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება N 3 23 0001019174. 22/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	4-5 სექტემბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი შავღელე

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში, საავტორიზაციო ვიზიტი კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, სკოლას მცირე რაოდენობის დოკუმენტაცია ჰქონდა გადმოგზავნილი. ვიზიტამდე მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, თუმცა ვერ მოხერხდა მისი მოწოდება. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოთხოვნილ დოკუმენტთა დიდი ნაწილი. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. გეგმის მიხედვით წარიმართა ვიზიტი. შედგა ინტერვიურების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შესწავლილი იქნა სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ საგნის მასწავლებლებს, მოეპოვებინათ დამატებითი ინფორმაციები მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი პირისპირ შეხვდა შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს, გაეცნო მასალებს, დაათვალიერა ლაბორატორიები და მოიპოვა ყველა საჭირო ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მოახდინეს შეჯამება, რასაც ესწრებოდა ყველა ექსპერტი, (საგნობრივი ექსპერტები ონლაინ, გარდა საბუნებისმეტყველოსა) მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში მუშაობს სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების პედაგოგი, ისინი ჰარმონიულად, შეთანხმებულად მუშაობენ. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებებს. ახალგაზრდა პედაგოგებს უკეთ გამოსდით ტექნოლოგიების ფლობა, რასაც უზიარებენ და ეხმარებიან მათ, ვისაც ესაჭიროება აღნიშნული მიმართულებით გაძლიერება. თავის მხრივ, გამოცდილი პედაგოგები აცნობენ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებებს და ყოველივე იძლევა საშუალებას გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლების ხარისხი

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები
ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობით შეაფასა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
ინდიკატორი		

სტანდარტი	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო, საშუალო საფეხური	*ხარვეზი*
კომპონენტი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, კერძოდ - **7/09/2023-დან - 20/12/2023** პერიოდში.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლა მოახდენს კანონმდებლობით დადგენილი ცნობების, (უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის, სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ) წარმოდგენის უზრუნველყოფას **5/09/2023-დან 30/10/2023-მდე** პერიოდში.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლა უზრუნველყოფს: ა) დაუცველი გარემოს გამოსწორების უზურუნველყოფას (სველი წერტილების ნაწილი მოწყობილია ფართო ფანჯრებთან ახლოს და ქმნის <u>დაუცველ გარემოს)</u> ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. გ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას. **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე პერიოდში.**

ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.	სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა, საქმისწარმოების წესში გაწერის მიუხედავად არ აწარმოებს მატერიალურ ჟურნალს შემოსული-გასული დოკუმენტების, ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციისათვის. სკოლა აღნიშნულის გამოსწორებას უზრუნველყოფს**5/09/2023-დან 6/11/2023-მდე. პერიოდში.**
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.	სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობას **5/09/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში**
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლა უზრუნველყოფს ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას. **5/09/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში**
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვას. **5/09/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში**

	(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებების გაფორმებას **15/09/2023-დან 6/11/2023-მდე პერიოდში**

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლის შიდა სპორტული დარბაზის მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან, (რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო) მოხდა კომუნიკაცია

		პრობლემა მოგვარდება **20/10/2023-დან 20/10/2024-მდე პერიოდში.**
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას **5/11/2023-დან 10/12/2023-მდე. პერიოდში.**

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო, საშუალო საფეხური**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლის შიდა სპორტული დარბაზის მოწყობისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია. პრობლემის მოგვარების პერიოდია **20/10/2023-დან 20/10/2024-მდე. პერიოდი**
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას **5/11/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში.**

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაონ კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.3.2	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	სკოლას მიეცა რჩევა- გააძლიეროს მშობელთა ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, მათთან მედიაცია, სწორი ინფორმირებულობა და სანდოობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მოსწავლის შეფასება სწავლის პროცესში ჩართვისა და უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი -----		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. მოცემული ვადები სრულიად საკმარისია არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ:

- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **7/09/2023-დან 10/12/2023-მდე** პერიოდში.
- კანონმდებლობით დადგენილი ცნობების, (უფლების ჩამორთმევის; ნასამართლეობის; სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ;) წარმოდგენის უზრუნველყოფა. **5/09/2023-დან 30/10/2023-მდე** პერიოდში.
- დაუცველ გარემოს მოწყობის უზურუნველყოფა 19/09/2023-დან 19/11/2023-მდე პერიოდში.
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან. **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე** პერიოდში.
- შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება. **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე** პერიოდში.
- მატერიალური ჟურნალალების წარმოების უზრუნნველყოფა (შემოსული/გასული დოკუმენტების, ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციისათვის). **5/10/2023-დან 6/10/2023-მდე.** პერიოდში

- სკოლის ვებ-გვერდი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას და მასთან კომუნიკაციას. ამიტომ, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, სკოლა გეგმავს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვას; **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე** პერიოდში.
- ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე** პერიოდში.
- ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა. **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე** პერიოდში.
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებების გაფორმება. **15/09/2023-დან 30/10/2023-მდე** პერიოდში
- სკოლის შიდა სპორტული დარბაზისა და ლაბორატორიების მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის წარმართვა და პრობლემის მოგვარება **20/10/2023-დან 20/10/2024-მდე** პერიოდში.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება. **5/11/2023-დან 10/12/2023-მდე.** პერიოდში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დაამტკიცეს ვიზიტის პერიოდში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისიასა და ხედვაში ასახული აქვს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. თუმცა იგი სტანდარტულია და ნაკლებად ორიგინალური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, სასკოლო საზოგადოების ჩართვა ნაკლებად ჩანდა, სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა აღნიშნულთა შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობის ამსახველი მტკიცებულებები, თუმცა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნულის შემუშავება **7/09/2023-დან 20/12/2023-მდე პერიოდში. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლას გამოკრული აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ასევე იგი წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, კერძოდ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. ასევე კლასის ხელმძღვანელებისაგან გაცნობილია მშობელთა კრებებზე და კლასის საათებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სასკოლო სივრცეში, თუმცა იგი ვიზიტის დროს არ იყო გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე მეტი საჯაროდ ხელმისაწვდომობისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა“. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულებები ინახა ადგილზე, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა გადმოგზავნა სკოლის მიერ

- ვიზიტის დროს სასკოლო სასწავლო გეგმის დათვალიერება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა. იგი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მექანიზმს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. იგი შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს. ამოცანები მიმართულია მიზნების მიღწევისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, იგი დაფუძნებულია სტრატეგიულ გეგმაზე და მისი მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანები და აქტივობები, მიმართულია მიზნის მიღწევისაკენ, გაზომვადია და რეალურად შესრულებადი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს, მასში დეტალურად არის გაწერილი სამოქმედო გეგმის შეფასება **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ ახლახანს შექმნა სტრატეგიული განვითარების გეგმა, შეიმუშავა მეთოდოლოგია და სწორედ მეთოდოლოგიის შესაბამისად გეგმავს მის მონიტორინგსა და შეფასებას, სადაც გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი, თუმცა აღნიშნულის გამოცდილება სკოლას არ გააჩნია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სრულ მზაობას გამოხატავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გაასაჯაროოს, იგი ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის სკოლის ვებგვერდის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია განსაზღვრავს, სკოლამ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის მოთხოვნის საფუძველზე დამტკიცებული აქვს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის საშტატო განრიგი, რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პოზიციები შემდეგია: დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი. საშტატო განრიგი მოიცავს სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხასაც, რომელთა შორის არიან: დამლაგებელი (2), დარაჯი (2), სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი მათი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის და დისციპლინური კომიტეტის საქმიანობას წარმართავენ დებულებების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და დამტკიცებული აქვს ბრძანებით. სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება სადაც დეტალურად არის გაწერილი მათი ფუნქციები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ყველა თანამშრომელმა იცის საკუთარი როლი და ადგილი სასკოლო საქმიანობის განსახორციელებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი.
- ვიზიტის დროს დაათვალიერებული ხელშეკრულებები.
- სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს შინაგანაწესი. თანამშრომლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევისას, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა აცხადებს ღია კონკურსს, რისთვისაც ადგენს კონკურსის წესებს მოქმედი კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს ვადებს, შექმნის შესარჩევ და საპრეტენზიო კომისიას. სკოლას აქვს ასეთი

წესით თანამშრომლის მიღების გამოცდილება. თუმცა პირად საქმეებში თანამშრომელთა ნაწილს არ ჰქონდა უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის და სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა გაწერილია 5/09/2023 - დან 30/10/2023-მდე პერიოდში, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებიც. ვიზიტის დროს იგრძნობოდა გუნდური მუშაობის კულტურა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დასაქმებული პერსონალი არის სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ადამიანი, ისინი გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა კათედრებზე, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოწინავე გამოცდილებებს, რაც აღიარებული და გათვალისწინებულია სასკოლო საქმიანობაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- ვიზიტის დროს შემოწმებული პირადი საქმეები
- კონკურსის ჩატარების წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, შექმნილი აქვს შეფასების ჯგუფი, ურთიერთდასწრებისა და გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები. აქვთ ურთიერთდასწრებისა და რეფლექსიის პრაქტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებში ჩანს გაკვეთილზე გამოვლენილი, პედაგოგის ძლიერი და გასაძლიერებელი მხარეები, კონსტრუქციული რჩევები და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის განვითარების მიზნით, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის წევრები ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ახდენენ შეფასებას.
სხვადასხვა ორგანიზაციების, განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა სახლის მიერ დაგეგმილი ტრენინგების შესახებ ინფორმაციას სკოლა აზიარებს ფეისბუქ გვერდის ჯგუფში. ასევე აღნიშნული ინფორმაციები გამოიკვრება სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის სხვა პერსონალის კარიერულ ზრდაში ხელშეწყობა გამომდინარეობს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენიდან. სკოლის ყველა პერსონალს ეძლევა საშუალება სწორად წარმოაჩინოს

საკუთარი თავი. აღნიშნული სკოლას გაწერილი აქვს სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესი სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სამოქმედო გეგმაში ასევე გაწერილია პერსონალის წახალისება განვითარების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მართვის მექანიზმი.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირები და რეფლექსიები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სექტემბრის თვის დასაწყისში. სკოლა მზადყოფნას გამოხატავს იმუშაოს აღნიშნულის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების შინაგანაწესი დეტალურად აღწერს იმ პროცესებს, რომელიც სკოლის თანამშრომლების საქმიანობას არეგულირებს, მათ შორის - შრომის პირობებს, მასწავლებლების და მოსწავლეების წახალისების სახეებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს და ა.შ. სკოლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმაც, აღწერს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, შემსრულებელ პირებს და დროის კონკრეტულ მონაკვეთს - განხორციელების ვადებს. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური და სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სხდომის ოქმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და.ა.შ. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში,

პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. შემუშავებულია საჩივრის განხილვის სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პერსონალთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობს ძირითადად სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და მშობელთა კრებების საშუალებებით, ასევე სოციალური ქსელების (მშობელთა ჩატები, პედაგოგთა ჩატები, სკოლის ფეისბუქგვერდების) საშუალებებით. ასევე სხვადასხვა საჯარო შეხვედრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სამეურვეო საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ, სადაც განიხილება სკოლის ძირითადი საკითხები, როგორიცაა- შინაგანაწესის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, ბიუჯეტის დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს შესაბამისი ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბრძანებით დამტკიცებულია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. ვიზიტის დროს აღნიშნული ბრძანება გადმოაგზავნა ცენტრის გავლით, თუმცა თან არ ახლავს დანართი. დანართი ვიზიტის დროს წარმოადგინეს. სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული **შენობის მდგრადობის** შესახებ, თუმცა სველი წერტილების ნაწილი

მოწყობილია ფართო ფანჯრებთან ახლოს და ქმნის დაუცველ გარემოს. ასევე სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც მიწერილობა შეუსაბამობების აღმოფხვრის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების კონკრეტული თარიღები, ესენია: **19/09/2023-დან 19/11/2023-მდე პერიოდი**- ასევე მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა მიწერილობები შესაბამის სამსახურებთან. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ორი დარაჯი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. მორიგე მასწავლებლები გაწერილი მორიგეობის გრაფიკით მოქმედებენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას არ აქვს ფსიქო-ემოციური უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის შემუშავებული დოკუმენტი. თუმცა დამრიგებლები, დირექცია და მორიგე მასწავლებლები გარკვეულწილად ითავსებენ ფსიქოლოგის როლს. დამრიგებლებს აქვთ გაწერილი სადამრიგებლო პროგრამები, რომლის მოდიფიცირებასაც ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. სადამრიგებლო პროგრამებში გათვათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს დამლაგებლები, მათ ხელშეკრულებაში გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები. გარდა სკოლის შტატითა და შტატგარეშე თანამშრომლებისა, სკოლას ჰყავს სოციალური პროექტებით დასაქმებული მეეზოვე, დამლაგებელი, დარაჯი და სულ 10 (ათი) დამატებითი თანამშრომელი, რომელთა საქმიანობა გაწერილია და აღირიცხება სპეციალური ტაბელით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა იცავს პერსონალურ ინფორმაციას, გამოყოფილი ჰყავს ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის პერსონალი იცნობს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და დამტკიცებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასების, ანალიზის და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.
- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოებიის დოკუმენტი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შენობა არის სკოლის სარგებლობაში, იგი გათვლილია 200 მოსწავლეზე, ახალი რეაბილიტირებულია, არის ინკლუზიური გარემო, ადაპტირებულია. შენობა არის ორ სართულიანი, დამონტაჟებულია ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილებით, პანდუსებით, რესურს ოთახით. გამოყოფილია ფართი ლაბორატორიებისათვის სადაც მიყვანილია ყველა საკომუნიკაციო საშუალებები. (ელ. ენერგია, წყალი, კანალიზაცია, გამწოვი სისტემა...) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ნებისმიერი საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია ნებისმიერი შესაძლებლობის მომხმარებლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ინფრასტრუქტურა მოსახერხებელია და ხელმისაწვდომი. ტექნიკურად გამართული პანდუსებითა და ლიფტებით. **ინდიკატორის მოთხოვნა_დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წარმოებს სპეციალური ჟურნალი დამხმარე ლიტერატურის დროებით სარგებლობაში გაცემა დაბრუნების აღრიცხვის მიზნით. ყველა დამხმარე ლიტერატურა აღრიცხულია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით მე-3 და მე-17 გვერდი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს ახალი სტანდარტული, კეთილმოწყობილი გარე მოედანი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისათვის გამოყოფილი ფართი, ყველა საჭირო კომუნიკაციით, სკოლას აქვს 200 მოსწავლეზე გათვლილი ყველა საჭირო ინვენტარი (მერხებისა და სკამების რაოდენობა, ასევე კარადა, თუ მასწავლებლის სკამი და მაგიდა).

ინდიკატორის მოთხოვნა_დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს 13 ლეპტოპი, ოთხი მრავალფუნქციური ქსეროქსის აპარატი, ერთი პროექტორი, რომელთა **სარგებლობის ოფიციალური განრიგი არ არსებობს,** თუმცა თანამშრომელთა ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს შეუზღუდავად ლეპტოპით, წინასწარ დირექციის შეთანხმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ინტერნეტი მუშაობს გამართულად, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია. გამართულად მუშაობს ,,უკაბელო" ინტერნეტის სისტემა. ინტერნეტის გამართულობა დასტურდება ვიზიტის დროს მისი მუშაობის ხარისხით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის დროს ფაქტებზე დაკვირვება და ინტერვიურება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. თუმცა მხოლოდ ელექტრონულ რეესტრს იყენებდა და საქმის წარმოების წესში გაწერის მიუხედავად არ აწარმოებდა მატერიალურ ჟურნალს შემოსული-გასული დოკუმენტების, ბრძანებების და

ხელშეკრულებების რეგისტრაციისათვის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა გაწერილია **5/09/2023 - დან 6/11/2023-მდე პერიოდში, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (Eflow, eSchool). აღნიშნული ვიზიტის დროს გადამოწმებულ იქნა ექსპერტების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის დროს დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები შევსებულია ყველა სავალდებულო ველით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს შემოწმდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, აღმოჩნდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი.
- ადგილზე ვიზიტი, ინტერვიუ, პირადად დათვალიერება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო **სკოლას ვებ.გვერდი ახალი შექმნილი აქვს, სადაც ვიზიტის დროს მასზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა განთავსებული,** თუმცა საზოგადოების ინფორმირებას ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით, ფეისბუქგვერდი, სასკოლო საზოგადოების შიდა ჩატებით და ა.შ. სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობას **5/09/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში. ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვინაიდან სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულ ინდიკატორში ვერ შეფასდება.

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, თუმცა ვიზიტის დროს სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა რაიმე სახის ინფორმაცია განთავსებული მასზე. ინტერვიუს დროს დირექციამ განაცხადა, რომ გეგმავს ვებგვერდი გამოიყენოს მიზნობრივად, რომლის ფუნქციონირებაც მიმართული იქნება სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის განვითარებისაკენ. აღნიშნულის განსახორციელებლად სკოლას ყველაფერი აქვს (უკვე შექმნილი გამზადებული ვებგვერდი, ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, ინტერნეტი...). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც კონკრეტული თარიღები აქვს გაწერილი პრობლემის აღმოსაფხვრელად ეს თარიღია 5/09/2023-დან 20/12/2023-მდე პერიოდი. ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ. რომლებიც ამ ეტაპზე გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას **თუმცა ყოველივე არ არის გამოქვეყნებული ვებ გვერდზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ნათლად ჩანს პრობლემის გადაჭრის გზები. იგი 5/09/2023-დან 20/12/2023-მდე პერიოდში გეგმავს ვებგვერდზე ასახოს სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია- ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიურება
- სამეურვეო საბჭოს ოქმების ადგილზე შემოწმება
- კლასის ხელმძღვანელების პორტფოლიოების შემოწმება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები წერილობით აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა.
- ინტერვიუ ბუღალტერთან დირექტორთან, კათედრის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკალას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. იგი აღსრულების მიზნით, გაზიარებულია სასკოლო თემისათვის, კერძოდ, მშობელთა კრებებზე ეცნობათ მშობლებს, კლასის საათზე მოსწავლეებს. იგი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და იგეგმება ვებგვერდზე გამოქვეყნება. სკოლას ჰყავს დარაჯი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები, სკოლის მიერ დამტკიცებული განრიგით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი, რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა მოსწავლესთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც **15/09/2023-დან. 6/11/2023-მდე** პერიოდში გეგმავს მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გააფორმოს ხელშეკრულებები **ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ვიზიტის პერიოდში ვიზუალურად ინახა საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს სკოლას საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მომსახურებას. სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. კერძოდ, გადაგზავნილია კლასის ხელმძღვანელებისათვის მშობელთა და მოსწავლეთა გაზიარების მიზნით, რომლებიც თავის მხრივ აცნობენ მათ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი
- ინტერვიურება სასკოლო სასწავლო გეგმის გაზიარების მექანიზმების შესახებ დამრიგებლების ცნობადობა.

  შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს სადამრიგებლო პროგრამები, მოსწავლის მიღების წესი, შინაგანაწესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი და დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას აქვს პრაქტიკა, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მოსწავლეს რომელსაც ესაჭიროება დახმარება, სკოლა უდგენს სპეციალურ ცხრილს სადაც შესაბამისი მასწავლებელი უწევს კონსულტირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ექსტერნის გამოცდის წინ, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა მოსწავლეებს უდგენს განრიგს კონსულტირებისათვის, ეხმარებათ მათ პრობლემების გადასაჭრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მათი ინიციატივით განხორციელდა სკოლის ეზოს გალამაზება, ყვავილების დარგვა, მოწყობა. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა

ფეისბუქგვერდზე ატვირთული ინიციატივის განხორციელების ამსახველი ფოტომასალა. ინიციატივის რეგისტრაციის და სხვა სახის დოკუმენტაცია არ მოიპოვება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა მზაობას გამოხატავს მიიღოს უკუკავშირი დაინტერესებული პირებისგან და გაითვალისწინოს მოსწავლეთა მომსახურებაში, თუმცა **სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და აღნიშნულ ინდიკატორში ვერ შეფასდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მოსწავლის სკოლაში მიღების წესი
- შინაგანაწესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან. კოლეჯი ,,ფაზისი'' - რომელთანაც ხდება მოსწავლეთა ვიზიტი, კონსულტაციები, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად განახორციელა პროექტი ,,სწორი არჩევანი, წარმატებული

მომავალი“ რომელიც დასტურდება გეგმით, რეფლექსიით და ამსახველი ფოტომასალით.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას - ვიზიტების შემდეგ ხშირად მიუღიათ მოსწავლეებს გადაწყვეტილება და ჩამოყალიბებულან მომავალი პროფესიის არჩევანში. კლასის ხელმძღვანელები, სადამრიგებლო საათებს გეგმავენ იმგვარად, რომ მოსწავლეებმა მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია კარიერის სწორად დაგეგმვაში. კურსდამთავრებულები ხშირად ირჩევენ რეგიონში მოქმედ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. წინარე გამოცდილებების გათვალისწინებით, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის კლასის ხელმძღვანელები, სამოქალაქოს მასწავლებელი და აქტიური თანამშრომლები ახდენენ ახალი გეგმის ჩამოყალიბებას. ცდილობენ რეგიონის გამოწვევები გაითვალისწინონ წარმატების მისაღწევად. სადამრიგებლო გეგმებში მეტწილად გათვალისწინებულია ადგილობრივი გამოწვევები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან
- პროექტის გეგმისა და რეფლექსიების ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუ კლასის ხელმძღვანელებთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას არ ჰყავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის სახით, რომლითაც ისარგებლებს მოსწავლის ყოლის შემთხვევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად რეაბილიტირებულია, შექმნილია ადაპტირებული გარემო შშმ და სსსმ პირებისათვის, ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, გამოყოფილია რესურსოთახისათვის ფართი, თუმცა ოთახი ჯერ-ჯერობით არ არის აღჭურვილი საჭირო ავეჯითა და თვალსაჩინოებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის დირექციასთან
- ინტერვიუ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის დამრიგებლებთან
- ვიზითის დროს ინფრასტრუქტურის ვიზუალური შესწავლა

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას არ აქვს გაიჯარებული ფართი. სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს კვების ობიექტის საქმიანობის მიზნით სკოლის ფართის იჯარის სახით გაცემას, ასევე გეგმავს სხვა ტიპის სერვისების შეთავაზებას რაც აუცილებლად იქნება შერჩეული მშობელთა ინტერესებიდან გამომდინარე და განხორციელდება კანონის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წრე, მეწარმეობის კლუბი. კლუბში და წრეებში გაერთიანებულები არიან მოსწავლეები თავიანთი სურვილების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. დამრიგებლების ანალიზის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ დირექციასთან
- ინტერვიუ ისტ-ის კათედრასთან
- ინტერვიუ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ პირთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა თვითშეფასებაში მიუთითებდა, რომ დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ გაწერილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მაგრამ ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც მოცემულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების, სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებებისა და გადასაწყვეტი პრობლემების შესახებ, რასაც პერიოდულად წარუდგენენ კათედრებს, ამით ისინი უზრუნველყოფენ მონაცემთა ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. კათედრებზე ხდება მონაცემების გაანალიზება და დასკვნის სახით მიეწოდება ადმინისტრაციას, სადაც პედაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც. კათედრებიდან მიღებული მასალების გათვალისწინებით ხდება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, რომლის დამტკიცება ხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. შავღელეს საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ კათედრის წევრთა რეკომენდაციების, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგ. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტი "დაარგე ხე - გადაარჩინე სიცოცხლე" სწორედ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამას ასევე

ცხადყოფს კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად ჰყავთ ჩართული მშობლები და სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპების მშობლებისთვის გაცნობა და მათგან უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შედგენილია მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმები შეიცავს საგანთაშორის კავშირებს. სასკოლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრთათვის, მასში გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სკოლა რეგულარულად ატარებს მშობელთა კრებებს, ყოველ საჭირო შემთხვევაში გეგმავს ინდივიდუალურ შეხვედრებს. სოციალური ქსელის გამოყენებით აზიარებს კომპლექსურ დავალებებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უცხო ენის სწავლისას კი შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მაგ. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლის პრიორიტეტის გათვალისწინებით დაიგეგმა და შემდეგ მშობლებისა და მოსწავლეების თანამონაწილეობით განხორციელდა პროექტი „დედამიწა ჩემი სახლია“. ეს იყო ქართულის, ბუნების, მათემატიკის, ხელოვნების და ინგლისურის ინტეგრირებული პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში ყველამ ერთად დაასუფთავა სკოლის მიმდებარე ტერიტორია, დარგეს ყვავილები. ბოლოს ბავშვებმა შექმნეს საინტერესო ნახატები. ასევე, მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ სპორტის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (მძლეოსნობისა და სხვადასხვა სახეობების ელემენტები, თეორიული მიმართულება), გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი უკვე დაგეგმილი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებლები რომელ საგნობრივ საკითხებს გაივლიან, რა დავალებებს მისცემენ, რომელ ძირითად და დამატებით რესურსებს და შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობენ

მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელშესაწყობად, კომპლექსური დავალებები კი უშუალოდ ავითარებენ ამ 6 უნარს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი, რის მიხედვითაც ახდენენ დავალების პირობისა თუ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის დროს შავღელეს სკოლამ წარმოადგინა დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ასევე, თითოეული მოსწავლესთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შავღელეს სკოლაში კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ყოველწლიურად განაახლებს დოკუმენტს წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე: სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში ერთვება დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს; რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; შეფასების რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რის გამოც რთულდება სპორტის სასწავლო პროგრამის განხორციელება დაწყებით საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 4); სკოლის შიდა სპორტული დარბაზის მოწყობის მიზნით შესაბამის უწყებებთან, (რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო), მოხდა კომუნიკაცია პრობლემა მოგვარდება **20/10/2023-დან**

20/10/2024-მდე პერიოდში.

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში,

შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის დაწყებითი საფეხურის ჩარჩო-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმი სწორედ წინა კურიკულუმზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით არის შექმნილი, რომ ისინი მოსწავლის წინარე ცოდნას ითვალისწინებენ და სწორედ მასზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის აგებას. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ გაუღვივა მოტივაცია მოსწავლეებს კეთებით სწავლებამ, პროდუქტის შექმნამ, ერთმანეთს რომ უზიარებდნენ და ჯგუფურადაც მუშაობდნენ, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გააქტიურება. მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შავღელეს სკოლაში სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მრავლადაა მათ მიერ განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება,

პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო თემების დავალებების პირობები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლემ გაიაზროს განსახილველი საკითხის არსი, დაინახოს ურთიერთმიმართებები საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მოახდინოს იდეების გენერაცია, შეძლოს ურთიერთკავშირის გაცნობიერება. ამისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს და მეთოდებს, როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, ისე საშინაო დავალებების შესრულებაში დასახმარებლად. მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის იყენებენ ერთობლივად შემუშავებულ ცხრილებს, რაც ეხმარება პროგრესის ანალიზში. აქტივობების წახალისებას ახდენენ განმავითარებელი შეფასებით, რაც მოსწავლეებს ეხმარება ძლიერი მხარეების დანახვასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრაში. დავალებები ითვალისწინებს საგანთა ინტეგრირებას და ცოდნის ტრანსფერს, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. სკოლაში ვიზიტის დროს გავეცანით სხვადასხვა საგანში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ დაწყებით საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას დავრწმუნდით, რომ მათი საქმიანობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. მაგ. უცხო ენის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. თემები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, მათ საშუალება ეძლევათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ასევე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის დაწყებითი საფეხურის 2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი), პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რუბრიკების შემუშავების პროცესზე. მასწავლებლები გეგმავენ შეიმუშავონ შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, რომლებსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ჰოლისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - არ არის დამოკიდებული შემფასებელზე, გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობისას, შეფასების სისტემასაც აცნობს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას, ვიზიტის დროს არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. სკოლამ აღნიშნული დოკუმენტი გადმოაგზავნა ვიზიტის დასრულებამდე ცენტრის გავლით, რომელშიც ფიქსირდებოდა სხვა დაწესებულების სახელწოდება, რის გამოც ექსპერტებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად დოკუმენტის შეფასება. სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, სადაც **5/11/2023-დან 20/12/2023-მდე** პერიოდში გეგმავს სკოლაზე მორგებულ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას **ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს სკოლაში არსებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას დაცული აქვს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში. შეფასებასთან

დაკავშირებული დოკუმენტაციიდან მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. დოკუმენტაცია დახარისხებულია და ინახება როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების ინსტრუქცია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან და სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, ითვალისწინებს მათ ინტერესებს და ცდილობს სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, დაგეგმოს სპორტული აქტივობები, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური და თანამრომლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. თანამშრომლობითი კულტურა ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის ერთობლივად შემუშავების კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები (მაგ. ინგლისურის, ქართულის და ხელოვნების ინტეგრირებული პროექტი ,,დედაენის დღე“), გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულებები და გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც საშუალებას აძლევს სკოლას მოამზადოს და ჩაატაროს მაღალი დონის სასკოლო ღონისძიებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მათსა და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა და ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ კათედრები მუდმივად იკრიბებიან და აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. სკოლაში ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე მოქმედი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელშიც

პროცედურულად იქნება გაწერილი მისი განხორციელების ეტაპები და პასუხისმგებლობები, არ არსებობს, მაგრამ ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდამჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. ორივე ტიპის რუბრიკებია წარმოდგენილი. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებებენ მოსწავლის არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს, სადაც უწევთ მათ მოსწავლეებს ცხოვრება და გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, შეკითხვების დასმა, საკლასო სამუშაო, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტებით სწავლებას, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას განაპირობებს: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებიდან იკვეთება და პედაგოგებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სკოლის კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე ვასკვნით, რომ სკოლა ყოველწლიურად ახდენს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა თვითშეფასებაში მიუთითებდა, რომ დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ გაწერილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მაგრამ ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც მოცემულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების, სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებებისა და გადასაწყვეტი პრობლემების შესახებ, რასაც პერიოდულად წარუდგენენ კათედრებს, ამით ისინი უზრუნველყოფენ მონაცემთა ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. კათედრებზე ხდება მონაცემების გაანალიზება და დასკვნის სახით მიეწოდება ადმინისტრაციას, სადაც პედაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც. კათედრებიდან მიღებული მასალების გათვალისწინებით ხდება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, რომლის დამტკიცება ხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების

ინტერესებს, შეხედულებებს და შესაძლებლობებს. საბაზო საფეხურის ამოცანების გათვალისწინებით გამოკვეთენ სასკოლო პრიორიტეტულ თემებს (მაგ. მდგრადი განვითარება, წიგნიერება, ეკოლოგიური მიმართულება, კონფლიქტების მართვა). ამ თემების შერჩევაში საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი და მოსწავლეა ჩართული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამას ასევე ცხადყოფს კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად ჰყავთ ჩართული მშობლები და სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპების მშობლებისთვის გაცნობა და მათგან უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შედგენილია მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმები შეიცავს საგანთაშორის კავშირებს. სასკოლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრთათვის, მასში გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სკოლა რეგულარულად ატარებს მშობელთა კრებებს, ყოველ საჭირო შემთხვევაში გეგმავს ინდივიდუალურ შეხვედრებს. სოციალური ქსელის გამოყენებით აზიარებს კომპლექსურ დავალებებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. საბაზო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უცხო ენის სწავლისას კი შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. ასევე, მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ სპორტის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (მძლეოსნობისა და სხვადასხვა სახეობების ელემენტები, თეორიული მიმართულება), გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგ. საყვარელი პროდუქტის რეკლამირება, პრეზენტაცია თემაზე - "გადაშენების პირას მყოფი ცხოველები", როლური თამაშები და სხვ. მასწავლებლებმა

ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელშესაწყობად, კომპლექსური დავალებები კი უშუალოდ ავითარებენ ამ 6 უნარს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი, რის მიხედვითაც ახდენენ დავალების პირობისა თუ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის დროს შავღელეს სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სამკომპონენტიან შეფასების სისტემას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც: დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ასევე, თითოეული მოსწავლისთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შავღელეს სკოლაში კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ყოველწლიურად განაახლებს დოკუმენტს წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე: სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის

კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში ერთვება საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს; რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; შეფასების რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რის გამოც რთულდება სპორტის სასწავლო პროგრამის განხორციელება საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 4); სკოლას არ აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო პროგრამის განხორციელებას (საფუძველი: ავტორიზაციის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 4).

სკოლის შიდა სპორტული დარბაზის მოწყობისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა შესაბამის უწყებებთან, (რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო), კომუნიკაცია. პრობლემის მოგვარების პერიოდია **20/10/2023-დან 20/10/2024-მდე.**

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მაგ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. ერთ-ერთი ასეთი ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურთან ერთად ჩატარდა, როდესაც (პედაგოგების მონათხრობის მიხედვით), მოსწავლეებმა ინგლისურად წარადგინეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების შესახებ შექმნილი პრეზენტაციები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის საბაზო საფეხურის ჩარჩო-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმი სწორედ წინა კურიკულუმზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით არის შექმნილი, რომ ისინი მოსწავლის წინარე ცოდნას ითვალისწინებენ და სწორედ მასზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის აგებას. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ გაუღვივა მოტივაცია მოსწავლეებს კეთებით სწავლებამ, პროდუქტის შექმნამ, ერთმანეთს რომ უზიარებდნენ და ჯგუფურადაც მუშაობდნენ, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გააქტიურება. მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შავღელეს სკოლაში სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მრავლადაა მათ მიერ განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო თემების დავალებების პირობები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლემ გაიაზროს განსახილველი საკითხის არსი, დაინახოს ურთიერთმიმართებები საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მოახდინოს იდეების გენერაცია, შეძლოს ურთიერთკავშირის გაცნობიერება. ამისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს და მეთოდებს, როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, ისე საშინაო დავალებების შესრულებაში დასახმარებლად. მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის იყენებენ ერთობლივად შემუშავებულ ცხრილებს, რაც ეხმარება პროგრესის ანალიზში. აქტივობების წახალისებას ახდენენ განმავითარებელი შეფასებით, რაც მოსწავლეებს ეხმარება ძლიერი მხარეების დანახვასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრაში. დავალებები ითვალისწინებს საგანთა ინტეგრირებას და ცოდნის ტრანსფერს, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგ. საბაზო საფეხურის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაა პრეზენტაცია თემაზე: "გადაშენების პირას მყოფი ცხოველები საქართველოსა და ავსტრალიაში". ამ დავალების ფარგლებში მოსწავლეებს შეეძლებათ ინგლისურ ენაზე იმსჯელონ ამ თემაზე, გაავლონ პარალელები. ასევე, პროექტებში ჩართულობით სკოლა მოიაზრებს მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის კათედრამ განახორციელა პროექტი „ჩაანაცვლე ბულინგი მეგობრობით", სადაც მოსწავლეებმა ინტერდისციპლინარული კავშირები დაინახეს, ითანამშრომლეს სასკოლო თემთან, მათ შორის სკოლის თვითმმართველობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. სკოლაში ვიზიტის დროს გავეცანით სხვადასხვა საგანში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საბაზო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას დავრწმუნდით, რომ მათი საქმიანობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს

განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. მაგ. უცხო ენის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. თემები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, მათ საშუალება ეძლევათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ასევე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის საბაზო საფეხურის 2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი), პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რუბრიკების შემუშავების პროცესზე. მასწავლებლები გეგმავენ შეიმუშავონ შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, რომლებსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ჰოლისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - არ არის დამოკიდებული შემფასებელზე, გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობისას, შეფასების სისტემასაც აცნობს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას, ვიზიტის დროს არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. სკოლამ აღნიშნული დოკუმენტი გადმოაგზავნა ვიზიტის დასრულებამდე ცენტრის გავლით,

რომელშიც ფიქსირდება სხვა დაწესებულების სახელწოდება, რის გამოც ექსპერტებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად დოკუმენტის შეფასება. სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, სადაც **5/11/2023-დან 20/12/2023-მდე** პერიოდში გეგმავს სკოლაზე მორგებულ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას **ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს სკოლაში არსებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას დაცული აქვს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციიდან მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. დოკუმენტაცია დახარისხებულია და ინახება როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების ინსტრუქცია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება საბაზო საფეხურის კურიკულუმში. სკოლაში ყურადღება გამახვილებულია ისეთი პრიორიტეტული თემების შესწავლაზე, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრება და ადამიანის უფლებები (ბავშვთა უფლებები). ამ თემების ინტეგრირებას ახდენენ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების პროცესში. პრიორიტეტულ თემების არჩევისას გაითვალისწინეს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. თანამშრომლობითი კულტურა ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის ერთობლივად შემუშავების კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულებები და გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც საშუალებას აძლევს სკოლას მოამზადოს და ჩაატაროს მაღალი

დონის სასკოლო ღონისძიებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მათსა და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა და ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ კათედრები მუდმივად იკრიბებიან და აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. სკოლაში ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე მოქმედი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელშიც პროცედურულად იქნება გაწერილი მისი განხორციელების ეტაპები და პასუხისმგებლობები, არ არსებობს, მაგრამ ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდამჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. ორივე ტიპის რუბრიკებია წარმოდგენილი. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებებენ მოსწავლის არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს, სადაც უწევთ მათ მოსწავლეებს ცხოვრება და გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, შეკითხვების დასმა, საკლასო სამუშაო, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტებით სწავლებას, იყენებენ

თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას განაპირობებს: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებიდან იკვეთება და პედაგოგებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სკოლის კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე ვასკვნით, რომ სკოლა ყოველწლიურად ახდენს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა თვითშეფასებაში მიუთითებდა, რომ დოკუმენტის სახით არ ჰქონდათ გაწერილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მაგრამ ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც მოცემულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების, სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებებისა და გადასაწყვეტი პრობლემების შესახებ, რასაც პერიოდულად წარუდგენენ კათედრებს, ამით ისინი უზრუნველყოფენ მონაცემთა ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. კათედრებზე ხდება მონაცემების გაანალიზება და დასკვნის სახით მიეწოდება ადმინისტრაციას, სადაც პედაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც. კათედრებიდან მიღებული მასალების გათვალისწინებით ხდება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება, რომლის დამტკიცება ხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს და შესაძლებლობებს. საშუალო საფეხურის ამოცანების გათვალისწინებით გამოკვეთენ სასკოლო პრიორიტეტულ თემებს (მაგ. მდგრადი განვითარება, წიგნიერება, ეკოლოგიური მიმართულება, კონფლიქტების მართვა). ამ თემების შერჩევაში საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი და მოსწავლეა ჩართული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამას ასევე

ცხადყოფს კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად ჰყავთ ჩართული მშობლები და სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპების მშობლებისთვის გაცნობა და მათგან უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შედგენილია მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმები შეიცავს საგანთაშორის კავშირებს. სასკოლო კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრთათვის, მასში გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სკოლა რეგულარულად ატარებს მშობელთა კრებებს, ყოველ საჭირო შემთხვევაში გეგმავს ინდივიდუალურ შეხვედრებს. სოციალური ქსელის გამოყენებით აზიარებს კომპლექსურ დავალებებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. საშუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უცხო ენის სწავლისას კი შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. ასევე, მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ სპორტის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (მძლეოსნობისა და სხვადასხვა სახეობების ელემენტები, თეორიული მიმართულება), გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, მსჯელობა განათლების სისტემის შესახებ, ინტერვიუ და გამოკითხვა საყიდლებთან დაკავშირებით, ესე „მობილური ტელეფონების გამოყენების“ შესახებ, ტურისტული შინაარსის ბროშურა, პრეზენტაცია თემაზე „ჩვენი დროის გამოჩენილი ქალბატონები“და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები

და სწავლის პოტენციალი, რის მიხედვითაც ახდენენ დავალების პირობისა თუ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის დროს შავღელეს სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სამკომპონენტიან შეფასების სისტემას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც: დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ასევე, თითოეული მოსწავლისთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შავღელეს სკოლაში კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ყოველწლიურად განაახლებს დოკუმენტს წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე: სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში ერთვება საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს; რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე

მუშაობის პროცესში; შეფასების რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

რეკომენდაცია: სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რის გამოც რთულდება სპორტის სასწავლო პროგრამის განხორციელება საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 4); სკოლას არ აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო პროგრამის განხორციელებას (საფუძველი: ავტორიზაციის დებულება, მუხლი 5, პუნქტი 4).

სკოლის შიდა სპორტული დარბაზის მოწყობისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა შესაბამის უწყებებთან, (რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო), კომუნიკაცია. პრობლემის მოგვარების პერიოდია **20/10/2023-დან 20/10/2024-მდე.**

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის საშუალო საფეხურის ჩარჩო-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმი სწორედ წინა კურიკულუმზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით არის შექმნილი, რომ ისინი მოსწავლის წინარე ცოდნას ითვალისწინებენ და სწორედ მასზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის აგებას. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა

მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ გაუღვივა მოტივაცია მოსწავლეებს კეთებით სწავლებამ, პროდუქტის შექმნამ, ერთმანეთს რომ უზიარებდნენ და ჯგუფურადაც მუშაობდნენ, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გააქტიურება. მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შავღელეს სკოლაში სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიურების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მრავლადაა მათ მიერ განხორციელებული პროექტები და აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებითად გადაწყვეტა. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო თემების დავალებების პირობები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლემ გაიაზროს განსახილველი საკითხის არსი, დაინახოს ურთიერთმიმართებები საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მოახდინოს იდეების გენერაცია, შეძლოს ურთიერთკავშირის გაცნობიერება. ამისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს და მეთოდებს, როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, ისე საშინაო დავალებების შესრულებაში დასახმარებლად. მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის იყენებენ ერთობლივად შემუშავებულ ცხრილებს, რაც ეხმარება პროგრესის ანალიზში. აქტივობების წახალისებას ახდენენ განმავითარებელი

შეფასებით, რაც მოსწავლეებს ეხმარება ძლიერი მხარეების დანახვასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრაში. დავალებები ითვალისწინებს საგანთა ინტეგრირებას და ცოდნის ტრანსფერს, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მაგ. პრეზენტაცია განათლების სისტემის შესახებ, ტურისტული ხასიათის ბროშურა - საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებაა, რომლის რეალიზებით მოსწავლეები შეძლებენ უცხოელ სტუმრებს ინგლისურ ენაზე ესაუბრონ საკუთარი მშობლიური ქალაქის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. სკოლაში ვიზიტის დროს გავეცანით სხვადასხვა საგანში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საშუალო საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შავღელეს სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას დავრწმუნდით, რომ მათი საქმიანობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. მაგ. უცხო ენის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. თემები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, მათ საშუალება ეძლევათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ასევე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შავღელეს სკოლის საშუალო საფეხურის 2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი), პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს რუბრიკების შემუშავების პროცესზე. მასწავლებლები გეგმავენ შეიმუშავონ შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, რომლებსაც გამოიყენებენ

კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ჰოლისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური - რადგან ეს სქემები შესაბამისია საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან, სანდო - ზუსტად შერჩეულია გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - არ არის დამოკიდებული შემფასებელზე, გამჭვირვალე - მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან და ერთობლივადაც შეიმუშავებენ შეფასების სქემებს, თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მოსწავლის ნაშრომი. დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობისას, შეფასების სისტემასაც აცნობს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას, ვიზიტის დროს არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. სკოლამ აღნიშნული დოკუმენტი გადმოაგზავნა ვიზიტის დასრულებამდე ცენტრის გავლით, რომელშიც ფიქსირდება სხვა დაწესებულების სახელწოდება, რის გამოც ექსპერტებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად დოკუმენტის შეფასება. სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, სადაც **5/11/2023-დან 20/12/2023-მდე** პერიოდში გეგმავს სკოლაზე მორგებულ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას **ინდიკატორის მოთხოვნა <u>მეტწილად</u> დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს სკოლაში არსებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას დაცული აქვს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციიდან მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. დოკუმენტაცია დახარისხებულია და ინახება როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების ინსტრუქცია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მხარდამჭერი, მიმღებლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. სწავლის პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა უზრუნველყოფს ერთმანეთის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ შავღელეს სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მიღწეული შედეგი. ეს აისახება საშუალო საფეხურის კურიკულუმში. სკოლაში ყურადღება გამახვილებულია ისეთი პრიორიტეტული თემების შესწავლაზე, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრება და ადამიანის უფლებები (ბავშვთა უფლებები). ამ თემების ინტეგრირებას ახდენენ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების პროცესში. პრიორიტეტულ თემების არჩევისას გაითვალისწინეს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. თანამშრომლობითი კულტურა ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის ერთობლივად შემუშავების კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულებები და გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც საშუალებას აძლევს სკოლას მოამზადოს და ჩაატაროს მაღალი დონის სასკოლო ღონისძიებები. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მათსა და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შავღელეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა და ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ კათედრები მუდმივად იკრიბებიან და აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. სკოლაში ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე მოქმედი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელშიც პროცედურულად იქნება გაწერილი მისი განხორციელების ეტაპები და პასუხისმგებლობები, არ არსებობს, მაგრამ ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდამჭერის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ერთობლივი მუშაობით უზრუნველყოფენ ამ პროცესების წარმართვას სკოლაში. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, აწარმოებენ შეფასებას და უზრუნველყოფენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. პედაგოგებიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ შეფასება და მონიტორინგი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ხდება ამ პროცესში აღმოჩენილი პრობლემების და ხარვეზების იდენტიფიცირება, შემდეგ მიმდინარეობს გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების წარმოშობის მიზეზების დადგენა, ისახება მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- კურიკულუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. ორივე ტიპის რუბრიკებია წარმოდგენილი. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების

შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებენ მოსწავლის არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს, სადაც უწევთ მათ მოსწავლეებს ცხოვრება და გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, შეკითხვების დასმა, საკლასო სამუშაო, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკის კვლევის პროცესში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტებით სწავლებას, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას განაპირობებს: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებიდან იკვეთება და პედაგოგებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სკოლის კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და

ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე ვასკვნით, რომ სკოლა ყოველწლიურად ახდენს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის, ფასადზე მოპირკეთებითი სამუშაოების მდგომარეობის ტექნიკური შეფასება, საექსპერტო დასკვნა. (დანართი 5 ფურცელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /დიმიტრი ქარსელაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ხათუნა კობიაშვილი/

/რომანი გაბუნია/

/მარეხი ჩიკვაიძე/

/თამთა პეტრიაშვილი/

/თამთა ჩიმაკაძე/

/ხათუნა მარკოზაშვილი/

/თინათინ გიორგაძე/

/ გიორგი ბერძულიშვილი/

/მანანა როსტომაშვილი/

/მარინა ანესაშვილი/

30/10/2023
თარიღი